ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს პრეცედენტული სამართალი

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს (CJEU) 2023 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე MO v SM as liquidator of G GmbH, C-134/22, ECLI:EU:C:2023:567.

მოკლე მიმოხილვა:

საქმე შეეხებოდა დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის სამართლებრივ დავას, რომელიც გამოწვეული იყო დამსაქმებელი კომპანიის მიმართ გაკოტრების რეჟიმის გახსნის შედეგად დასაქმებულთა მასობრივი დათხოვნით.

დასაქმებული ამტკიცებდა, რომ, ვინაიდან დამსაქმებელმა არ შეასრულა „სამსახურიდან კოლექტიური გათავისუფლების შესახებ წევრ სახელმწიფოთა კანონების დაახლოების თაობაზე“ საბჭოს 1998 წლის 20 ივლისის დირექტივის 98/59/EC („დირექტივა“) მე-2(3) მუხლის მე-2 ქვეპარაგრაფით განსაზღვრული კომპეტენტური საჯარო უწყების ინფორმირების ვალდებულება, მისი გათავისუფლება ცნობილი უნდა ყოფილიყო ბათილად. კერძოდ, აღნიშნული დებულების მიხედვით, დამსაქმებელი ვალდებული იყო კომპეტენტური საჯარო უწყებისთვის წერილობით ეცნობებინა დაგეგმილ გათავისუფლებასთან დაკავშირებული დეტალების შესახებ, რაც დამსაქმებელმა არ შეასრულა.

საქმის განმხილველმა ეროვნულმა სასამართლომ წინასწარი გადაწყვეტილების პროცედურით მიმართა ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს კითხვით, დამსაქმებლის მიერ კომპეტენტური საჯარო უწყების ინფორმირების ვალდებულების შეუსრულებლობა ანიჭებდა თუ არა მასობრივი დათხოვნის შედეგად დაზარალებულ დასაქმებულს უფლებას, მოეთხოვა გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების ბათილად ცნობა?

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ განმარტა, რომ დირექტივის მე-2(3) მუხლის 1-ელი ქვეპარაგრაფის (b) პუნქტში მითითებული ინფორმაცია კომპეტენტურ საჯარო ორგანოს უნდა მიწოდებოდა მხოლოდ „საინფორმაციო და მოსამზადებელი დანიშნულებით“, რათა, საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველეყო დირექტივის მე-4 მუხლით გათვალისწინებული უფლებამოსილებების ეფექტიანად განხორციელება.

ამგვარად, კომპეტენტური საჯარო უწყების ქმედება მიზნად ისახავდა არა თითოეული დასაქმებულის ინდივიდუალურ სიტუაციაზე რეაგირებას, არამედ დაგეგმილი მასობრივი დათხოვნის შესახებ ზოგადი ინფორმაციის მიღებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ დაასკვნა, რომ დირექტივის მე-2(3) მუხლის მე-2 ქვეპარაგრაფით განსაზღვრული კომპეტენტური საჯარო ორგანოს ინფორმირების ვალდებულების მიზანს არ წარმოადგენდა მასობრივი დათხოვნის შედეგად დაზარალებულ დასაქმებულთათვის ინდივიდუალურ დაცვაზე უფლების მინიჭება.

მნიშვნელოვანი ამონარიდები გადაწყვეტილებიდან:

25 [...] დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკის თანახმად, ევროკავშირის კანონმდებლობის ნორმის განმარტებისას აუცილებლად გასათვალისწინებელია არა მხოლოდ მისი სიტყვასიტყვითი მნიშვნელობა, არამედ ის კონტექსტიც, რომელშიც ის გამოიყენება და მიზნები, რომლებსაც ამ ნორმის შემცველი წესები აყალიბებს. ევროკავშირის კანონმდებლობის დებულების წარმომავლობა, ასევე, შეიძლება იძლეოდეს მისი განმარტებისთვის რელევანტურ ინფორმაციას.

[...]

28 ამ თვალსაზრისით, უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ [დირექტივის 98/59 მე-2(3) მუხლის მე-2 ქვეპარაგრაფი] მოცემულია არა დირექტივის III ნაწილში სათაურით „მასობრივი დათხოვნის პროცედურა“, არამედ II ნაწილში სათაურით „ინფორმაცია და კონსულტაცია“, რომელიც, როგორც აღნიშნული დირექტივის მე-2(1) მუხლიდან ირკვევა, არეგულირებს დასაქმებულთა წარმომადგენლებთან კონსულტაციის პროცედურას, როდესაც დამსაქმებელი განიხილავს მასობრივი დათხოვნის განხორციელებას. შესაბამისად, დირექტივის 98/59 მე-2(3) მუხლის მე-2 ქვეპარაგრაფით გათვალისწინებული ინფორმაციის მიწოდება უნდა მოხდეს იმ ეტაპზე, როდესაც მასობრივი დათხოვნის საკითხი მხოლოდ „განიხილება“, დასაქმებულთა წარმომადგენლებთან კონსულტაციების პროცედურა ახალი დაწყებულია და ჯერ არ დასრულებულა.

[...]

30 გარდა ამისა, სასამართლომ განაცხადა, რომ დირექტივის 98/59 მე-2(3) მუხლის 1-ელი ქვეპარაგრაფის (b) პუნქტში მითითებული ინფორმაცია შეიძლება მიწოდებულ იქნეს კონსულტაციების განმავლობაში და არა აუცილებლად ამ კონსულტაციების საორგანიზაციო პროცედურის დაწყებისას; გარკვეული მოქნილობა აუცილებელია იმის გათვალისწინებით, რომ დამსაქმებლის ვალდებულებაა დასაქმებულთა წარმომადგენლებს მიეცეთ შესაძლებლობა, რაც შეიძლება სრულად და ეფექტიანად, მიიღონ მონაწილეობა კონსულტაციის პროცესში და მათ, ამისთვის, კონსულტაციების დასრულებამდე ნებისმიერი ახალი, შესაბამისი ინფორმაცია უნდა მიეწოდოთ (ამ საკითხთან დაკავშირებით იხ. 2009 წლის 10 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Akavan Erityisalojen Keskusliitto AEK and Others*, C-44/08, EU:C:2009:533, პუნქტები 52 და 53).

[...]

32 ზემოაღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ დირექტივის 98/59 მე-2(3) მუხლის მე-2 ქვეპარაგრაფში მითითებული ინფორმაციის მიწოდება კომპეტენტურ საჯარო ორგანოს მხოლოდ წარმოდგენას უქმნის დაგეგმილი დათხოვნის მიზეზებზე, გასათავისუფლებელ დასაქმებულთა რაოდენობასა და კატეგორიებზე, ჩვეულებრივ დასაქმებულ პირთა რაოდენობასა და კატეგორიებზე, იმ პერიოდზე, რომლის განმავლობაშიც უნდა განხორციელდეს დაგეგმილი დათხოვნა და გასათავისუფლებელ დასაქმებულთა შერჩევის კრიტერიუმებზე იმდენად, რამდენადაც ეროვნული კანონმდებლობა ან/და პრაქტიკა ამ უფლებამოსილებას ანიჭებს დამსაქმებელს.

[...]

34 მეორე, აღსანიშნავია, რომ კომპეტენტური საჯარო ორგანო არ ასრულებს რაიმე აქტიურ როლს დასაქმებულთა წარმომადგენლების მონაწილეობით გამართული კონსულტაციების პროცესში.

[...]

36 ამრიგად, კომპეტენტური საჯარო ორგანოსთვის ინფორმაციის მიწოდება, როგორც ეს მითითებულია დირექტივის 98/59 მე-2(3) მუხლის მე-2 ქვეპარაგრაფში, ხორციელდება მხოლოდ საინფორმაციო და მოსამზადებელი დანიშნულებით, რათა კომპეტენტურმა საჯარო ორგანომ, საჭიროების შემთხვევაში, შეძლოს ამ დირექტივის მე-4 მუხლით გათვალისწინებული უფლებამოსილებების ეფექტიანად განხორციელება. შესაბამისად, კომპეტენტური საჯარო ორგანოსთვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების მიზანია, აღნიშნულმა ორგანომ შეძლებისდაგვარად წინასწარ განსაზღვროს დაგეგმილი მასობრივი დათხოვნის უარყოფითი შედეგები, რათა შეტყობინების მიღებისას შესაძლებლობა ჰქონდეს, გამონახოს აღნიშნული დათხოვნით გამოწვეული პრობლემების ეფექტიანად გადაჭრის გზები.

37 ინფორმაციის მიწოდების მიზნისა და იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული ხორციელდება დამსაქმებლის მიერ მასობრივი დათხოვნის საკითხის განხილვის ეტაპზე, [...] კომპეტენტური საჯარო ორგანოს ქმედება მიზნად ისახავდა არა თითოეული დასაქმებულის ინდივიდუალურ სიტუაციაზე

რეაგირებას, არამედ დაგეგმილი მასობრივი დათხოვნის შესახებ ზოგადი ინფორმაციის მიღებას. ამასთანავე, სასამართლომ უკვე დაადგინა, რომ დირექტივის 98/59 მე-2 მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციისა და კონსულტაციის უფლება დასაქმებულების, როგორც კოლექტიური გაერთიანების, სასარგებლოდ არის გათვალისწინებული და ატარებს კოლექტიურ ხასიათს (2009 წლის 6 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე *Mono Car Styling,* C-12/08, EU:C:2009:466, პუნქტი 42). აქედან გამომდინარეობს, რომ აღნიშნული დირექტივის მე-2(3) მუხლის მე-2 ქვეპარაგრაფი დასაქმებულებს უზრუნველყოფს კოლექტიური და არა ინდივიდუალური დაცვის უფლებით.

[...]

39 [...] რაც შეეხება დირექტივის 98/59 მე-2(3) მუხლის მე-2 ქვეპარაგრაფის წარმომავლობას, უნდა გვახსოვდეს, [...] რომ დირექტივა 98/59 ცვლის საბჭოს 1975 წლის 17 თებერვლის დირექტივას 75/129/EEC „სამსახურიდან კოლექტიური გათავისუფლების შესახებ წევრ სახელმწიფოთა კანონების დაახლოების თაობაზე“ (ოფიციალური ჟურნალი 1975 L 48, გვ. 29). ამ უკანასკნელი დირექტივის მოსამზადებელი მასალებიდან *(travaux préparatoires)* ირკვევა, რომ დასაქმებულთა წარმომადგენლებისთვის მიწოდებული ინფორმაციის კომპეტენტური საჯარო ორგანოსთვის გაგზავნის ვალდებულება, რომელიც გათვალისწინებულია მე-2(3) მუხლის მე-2 ქვეპარაგრაფით, შეთავაზებულ იქნა იმ მიზნით, რომ კომპეტენტურ ორგანოებს საშუალება ჰქონოდათ, დაუყოვნებლივ მიეღოთ ინფორმაცია შრომის ბაზარზე კრიტიკული გავლენის მქონე სიტუაციებთან დაკავშირებით და მომზადებულიყვნენ ნებისმიერი აუცილებელი ზომის მისაღებად (საბჭოს დოკუმენტი 754/74).

[...]

41 ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, [...] დირექტივის 98/59 მე-2(3) მუხლის მე-2 ქვეპარაგრაფი უნდა განიმარტოს იმგვარად, რომ დამსაქმებლის ვალდებულება, კომპეტენტურ საჯარო ორგანოს მიაწოდოს, სულ მცირე, წერილობითი შეტყობინების იმ ელემენტების ასლი, რომლებიც გათვალისწინებულია აღნიშნული დირექტივის მე-2(3) მუხლის პირველი ქვეპარაგრაფის (b) პუნქტის (i)-(v) ქვეპუნქტებით, მიზნად არ ისახავს მასობრივი დათხოვნით დაზარალებულ დასაქმებულთათვის ინდივიდუალურ დაცვაზე უფლების მინიჭებას.

ეროვნული კანონმდებლობის ნორმის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების საფუძველი	საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების დანართი XXX
ევროკავშირის სამართლებრივი აქტი, რომელთანაც მოხდა ეროვნული ნორმის დაახლოება	საბჭოს 1998 წლის 20 ივლისის დირექტივა 98/59/EC სამსახურიდან კოლექტიური გათავისუფლების შესახებ წევრ სახელმწიფოთა კანონების დაახლოების თაობაზე
ევროკავშირის სამართლის დებულება	დირექტივის 98/59/EC მე-2(3) მუხლის მე-2 ქვეპარაგრაფი
ეროვნული ნორმა, რომლის დაახლოება ევროკავშირის სამართლებრივ აქტთან უკვე მოხდა	საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსი“ 49-ე მუხლი (სარეგისტრაციო კოდი: 270000000.04.001.016012; 16/04/2025 კონსოლიდირებული ვერსია)
საკვანძო ტერმინი	**მასობრივი დათხოვნა**
CJEU-ის პრეცედენტული სამართალი	2023 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე MO v SM as liquidator of G GmbH, C-134/22, ECLI:EU:C:2023:567

ინფორმაცია დამუშავებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ევროკავშირის სამართლის დეპარტამენტის მიერ, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილებათა

ანალიზის საფუძველზე. ანალიზი განკუთვნილია მხოლოდ საინფორმაციო და საგანმანათლებლო მიზნებისთვის და არ ასახავს რომელიმე ორგანიზაციის, დაწესებულების ან სუბიექტის შეხედულებებს.